Deutsch mit Socke/გერმანული წინდასთან ერთად

მოამზადა ხათუნა მჭედლიშვილმა

თემა/მიზანი:

თემები:

ფერები, რიცხვები, ცხოველები, ტანსაცმელი, სხეულის ნაწილები, საჭმელ-სასმელი, ამინდი, ბინა და სახლის ნივთები.

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- საბაზისო ლექსიკისა და მარტივი სტრუქტურების თამაშით დასწავლა;
- მოსმენის უნარისა და ლექსიკური მასალის გამეორების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა მოტივაცია იუმორით, ინტერაქციითა და გამეორებებით;
- კომუნიკაციური უნარების ხელშეწყობა.

ორგანიზების ფორმა:

ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფური

სამუშაო რესურსი:

ვიდეოებისა და სასწავლო მასალის ბმული

„Deutsch mit Socke“(გერმანული წინდასთან ერთად) ენის ფლობის A1 დონეზე მყოფ ბავშვებსა და მოზარდებზე მორგებული სასწავლო ფილმებია. ფილმის სერიებში შევხვდებით Socke-ს(წინდას), ცნობისმოყვარე და ხშირად მოუხერხებელ ხელის თოჯინასა და მის მეგზურ ესთერს, რომლებიც „გვამოგზაურებენ“ სხვადასხვა თემებში. მათი ინტერაქციის მეშვეობით მოსწავლეები ხალისითა და თამაშით ეცნობიან ლექსიკასა და მარტივ სტრუქტურებს.

სერიათა ციკლი მოიცავს ენის სწავლების საწყისი საფეხურისთვის დამახასიათებელ ისეთ ცენტრალურ თემებს, როგორიცაა ფერები, რიცხვები, ცხოველები, ტანსაცმელი, სხეულის ნაწილები, საჭმელ-სასმელი, ამინდი, ბინა და სახლის ნივთები. მსმენელები ასევე დახვეწავენ შეკითხვების დასმის ტექნიკას. სერიებში დაშვებული შეცდომები და გაუგებრობები ემსახურება დასასწავლი მასალის გააზრებასა და ნათქვამის გამეორებას.

ვიდეოების გარდა „Deutsch mit Socke“ გვთავაზობს გზამკვლევებსა და ინსტრუქციებს გაკვეთილებისთვის და სამუშაო ფურცლებს მრავალფეროვანი დავალებებითა და სავარჯიშოებით.

სასწავლო ვიდეო- სერიათა ციკლის მიზნებია:

- საბაზისო ლექსიკისა და მარტივი სტრუქტურების თამაშით დასწავლა;
- მოსმენის უნარისა და ლექსიკური მასალის გამეორების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა მოტივაცია იუმორით, ინტერაქციითა და გამეორებებით;
- კომუნიკაციური უნარების ხელშეწყობა.

ვიდეოების სანახავად ეწვიეთ ბმულს:

https://www.planet-schule.de/schwerpunkt/deutsch-mit-socke/index.html

სასწავლო მასალასა და მზა სამუშაო ფურცლებს იხილავთ ბმულზე:

https://www.planet-schule.de/schwerpunkt/deutsch-mit-socke/deutsch-lernen-mit-socke-unterricht-100.html